



# უსახლკაროები და მათი ღირსეული ცხოვრებისთვის შესაბამისი უფლებების უზრუნველყოფა



**DRIVE  
DEMOCRACY**

თბილისის  
რეგიონული განვითარების  
გზამკვლევი

2021

წინამდებარე დოკუმენტი - რეგიონული განვითარების გზამკვლევი, არის მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია პროექტის **“რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის”** მონაწილეთა მიერ.

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) მიერ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით, და მიზნად ისახავს ამომრჩეველების იმდაგვარად გაძლიერებას, რომ წარმატებით მოითხოვონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკური თუ საარჩევნო პროგრამები და ისეთი პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში, რომელიც მეტად პასუხობს საქართველოს მოქალაქეების რეალურ საჭიროებებს. პროექტი საქართველოს ხუთ რეგიონში: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში ხორციელდება.

### **ავტორთა ჯგუფი:**

თეა ტეფნაძე, კესარია ხუბუა, ლელა მურადაშვილი, ნატალია ბარათაშვილი

*დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალური პოზიცია ან თვალსაზრისი.*

# სარჩევი

<b>შესავალი</b>	<b>4</b>
<b>სოციალური დაცვის მიზნები</b>	<b>6</b>
<b>პრობლემის ანალიზი</b>	<b>9</b>
დეფინიცია და აღრიცხვიანობა	9
პრობლემის აღმოფხვრის მოკლევადიანი პერსპექტივა და უსახლკარო პირთა რეინტეგრაციის პრობლემა	14
მიუსაფარ პირთა ინფორმირება	15
სოციალური დახმარების სააგენტოს ქმედითობა	16
საგანმანათლებლო პროგრამების აუცილებლობა	17
<b>უსახლკართა პრობლემის მოგვარების ევროპული მიდგომა</b>	<b>19</b>
<b>დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები</b>	<b>22</b>
<b>მონიტორინგის ინსტრუმენტები</b>	<b>25</b>
<b>დასკვნის მაგიერ</b>	<b>26</b>

# შესავალი

საქართველოში უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისზე ხელმიუწვდომლობის პრობლემები კვლავ გადაუჭრელია. თავშესაფრისა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩენილი მოქალაქეები ვერ ახერხებენ საზოგადოებაში სათანადო ინტეგრირებას. ამ მიზეზების გამო ისინი ხვდებიან მონყვლად ჯგუფებში, რის გამოც იზღუდება მათი ძირითადი უფლებები, მაგალითად, თანასწორუფლებიან გარემოში განვითარების უფლება. მუდმივ იზოლაციაში მოქცეულნი და ხალხისგან გარიყულნი, პოტენციურად, შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოში, სადაც ძალადობისა და კრიმინალის საცდური არსებობს. ამით სრულიად უგულებელყოფილია კონსტიტუციით დაცული სუბიექტების ღირსების უფლება და სახელმწიფოს, როგორც სერვისის გაგება.

საინტერესოა, **რა არის უსახლკარობის მიზეზი?** სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებით, გამოკითხვებითა თუ ანგარიშებით ირკვევა, რომ უსახლკარობის პრობლემის გამომწვევი მიზეზები, თითქმის ყოველთვის, თვითმმართველ რეგიონში მეტად სიმპტომურია: უმუშევრობა, განათლების დაბალი დონე (პროფესიული, საშუალო, უმაღლესი), საკრედიტო ვალდებულებები (ჯანმრთელობის გადაუდებელი მდგომარეობისა თუ აზარტული თამაშების გამო), სუსტი სოციალური პოლიტიკა, ავარიული და დასანგრევად განწირული შენობა-ნაგებობები, ოჯახური ძალადობა, ტრადიციები... ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

ამ ფონზე, თავად ამ ადამიანებისთვისაც კი, ხშირად დაუჭერებელია, რომ მათაც შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, საარსებო საშუალებების მოძიება და საკუთარი თავის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ამ კატეგორიის მოქალაქეთა პრობლემას არ განიხილავს კომპლექსურად და ამიტომაც ამ ადამიანებს არ ეძლევათ ფუნდამენტური ალტერნატივა, თავად შეიქმნან უკეთესი მომავალი, რისი მიღწევაც შესაძლებელია სასწავლო თუ გადამზადების პროგრამებში ჩართვით, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით ან სხვა სახით.

სახელმწიფომ უნდა შეცვალოს მიდგომები, კერძოდ: შეიმუშაოს და პრაქტიკაში გაატაროს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები, ჩამოაყალიბოს პროფესიული გადამზადების კურსები, იზრუნოს სამუშაო ადგილებზე და თვალნათლივ დაანახოს ამ ადამიანებს, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ცხოვრების წარმართვა, დამოუკიდებლად არსებობა, უძრავ-მოძრავი ქონების შექმნა და უკეთესი მომავლის შექმნა. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, ისინი უნდა უზრუნველყოს თავშესაფრით, მინიმალური საარსებო ადაპტირებული

გარემოთი, შესაბამისი განათლებით, სამუშაო ადგილებით, თანაბარ გარემოში რეალიზების შესაძლებლობით, რათა გახადოს კონკურენტუნარიანები.

უსახლკაროები სათანადოდ ან საერთოდ ვერ სარგებლობენ ისეთი უფლებებით, როგორცაა, მაგალითად, განათლება და ჯანდაცვა. შესაბამისად, უჭირთ სამუშაო ადგილების პოვნა და დასაქმება, რაც მათი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზა იქნებოდა. სამწუხაროდ, პასუხისმგებელი ორგანოებისთვის ეს საკითხი არ არის პრიორიტეტული და ამიტომაც, დღემდე არ არსებობს საერთო, ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიუსაფარ პირთა პრობლემებს მოაგვარებდა.

ცენტრალურ ხელისუფლებას საკანონმდებლო და ეროვნულ დონეზე არ აქვს შემუშავებული ერთიანი მიდგომა და ხედვის სტრატეგია, რომელიც უნდა მოიცავდეს სოციალური პრობლემების კომპლექსური მოგვარებისთვის საჭირო პოლიტიკის დოკუმენტსა და ღონისძიებებს.

გაუგებარია, სოციალური პოლიტიკის რომელ მიდგომას ემხრობა სახელმწიფო, რადგან არანაირი საკანონმდებლო ჩარჩოთი არ არის რეგულირებული, კონკრეტულად რომელი უწყების კომპეტენციაა ადამიანის საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ასევე პრევენციული ღონისძიებებისა და კონკრეტული პოლიტიკის გატარება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა სოციალური საკითხების კოორდინაცია და მონიტორინგი, მაგრამ არსად, არც ერთი საკანონმდებლო თუ შიდაუნებრივი დოკუმენტით არ არის რეგულირებული უშუალოდ უსახლკაროთა უფლების უზრუნველყოფის მექანიზმი.

თავისთავად ცხადია, რომ თვითმმართველობის თუ რეგიონული პოლიტიკის რომელიმე დოკუმენტში არ არსებობს სათანადო ჩანაწერი პრობლემის მოგვარების გზებზე, რომ არაფერი ვთქვათ მის რეალურ გადაწყვეტაზე. თვითმმართველობის კომპეტენცია მხოლოდ უსახლკარო პირთა აღწერაა. არადა, მიუსაფარ პირთა შესახებ ერთიანი რეესტრის წარმოება სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლება-მოვალეობაა, რაც საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება. სინამდვილეში კი, უსახლკაროებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების აღწერა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ან სრულიად უგულებელყოფილია, ან მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს. დღესდღეობით, მიუსაფარ პირთა ერთიანი რეესტრი მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის მონაცემებს მოიცავს.

# სოციალური დაცვის მიზნები

„სახელმწიფო არა მარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია“.

საზოგადო გავრცელებულ „სოციალური სახელმწიფოს პრინციპსა“ და მისი დაცვის მიზნებთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მიდგომები:

**1** *„ერთი მიდგომით, სოციალური დაცვის მიზანია სოციალური რისკებით გამოწვეული იმ ბარიერების მოხსნა, რაც აფერხებს ადამიანისა და ეკონომიკის განვითარებას.*

**2** *მეორე მიდგომით, სოციალური დაცვის მიზანია საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება.*

**3** *მესამე მიდგომით, სოციალური დაცვა ადამიანის უფლებაა და მისი მიზანაც ამ უფლების უზრუნველყოფა“.<sup>1</sup>*

სწორედ ამგვარი მიდგომების ფორმულირებამ მოგვცა საშუალება, გაგვეტარებინა სოციალური დაცვის მიზნობრივი სახელმწიფო პოლიტიკა. ამასთანავე, ყურადღება გაგვემახვილებინა კომპლექსური ხედვის მნიშვნელობაზე – სოციალური სახელმწიფო ხომ ავტომატიზებულად აყალიბებს ურთიერთდაკავშირებულ, ჭაჭვურ ქსელს, სადაც სახელმწიფო ერთდროულად პასუხისმგებელიც არის და ანგარიშვალდებულიც. ეს ორი ნორმა ქმნის იმ მთავარ სამართლებრივ შემაკავშირებელ, შენონასწორებულ ბალანსს, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკურადაა ანგარიშვალდებული, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ-სამართლებრივადაა პასუხისმგებელი, ჩამოაყალიბოს სოციალური უფლებების დაცვისთვის აუცილებელი ბაზისი.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დაცვის მიზნები ამით არ ამოიწურება. არსებობს სხვა მიდგომებიც. მაგალითად, სოციალური კონტრაქტის თეორიით, სოციალური დაცვა, სხვა სახელმწიფო ვალდებულებებისა და სერვისების მსგავსად, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქეს

<sup>1</sup> ურუშაძე, ანდრია. „პანდემიის გაკვეთილები საქართველოს სოციალური დაცვის სისტემისთვის“. ჟურნალი „ფრონტისპირა დემოკრატია“, კოვიდ-19/პანდემია. გავლენა საქართველოსა და მსოფლიოზე, ნაწილი 1, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, სექტემბერი, 2020, გვ. 39-40.

შორის დადებული „სოციალური კონტრაქტი“, რომლის ორივე მხარეს საკუთარი უფლებები და ვალდებულებები გააჩნია.

გაეროს სოციალური განვითარების კვლევის ინსტიტუტის მიერ სოციალური დაცვა განმარტებულია, როგორც „ისეთი სიტუაციების პრევენცია, მართვა და დაძლევა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანების კეთილდღეობაზე“.

სოციალური დაცვა აერთიანებს იმ პოლიტიკასა და პროგრამებს, რომელთა მიზანია სიღარიბის დაძლევა, შრომის ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება, ადამიანების მოწყვლადობის შემცირება, რათა გაძლიერდეს მათი შესაძლებლობები, გაუმკლავდნენ ეკონომიკური და სოციალური რისკის ისეთ გამოვლინებას, როგორცაა: უმუშევრობა, სოციალური გარიყულობა, ავადმყოფობა, შეზღუდული შესაძლებლობები და სიბერე.

სოციალური დაცვის ამოცანებზე გავლენას ახდენს ქვეყნის მდგომარეობაც. ერთ-ერთი განმარტებით, სოციალური დაცვა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც „საზოგადოებრივი ქმედებები, რომლებიც მიიღება იმ დონის მოწყვლადობის, რისკებისა და დეპრივაციის საპასუხოდ, რომელიც მიჩნეულია სოციალურად მიუღებლად მოცემული პოლიტიკური სისტემისთვის ან საზოგადოებისთვის“.

ნაციონალური სოციალური სისტემების შეფასებისა და განვითარებისთვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა სპეციალური მექანიზმი, ე.წ. სოციალური დაცვის მაქსიმუმი, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ეხმარება, შეაფასონ მოქმედი სისტემების ეფექტიანობა და დაგეგმონ მისი სამომავლო განვითარება. სოციალური დაცვის ეს მექანიზმი ერთიანი კონცეფციის ნაწილია, რომელიც სოციალურ დაცვას განიხილავს ადამიანის უფლებების განუყოფელ ნაწილად და განსაზღვრავს როგორც მინიმალურ, საბაზისო გარანტიებს ამ უფლებების დასაცავად.

2016 წელს მსოფლიო ბანკმა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწოდეს წევრ სახელმწიფოებს, გააერთიანონ ძალისხმევა 2030 წლისთვის უნივერსალური სოციალური დაცვის მისაღწევად. უნივერსალური სოციალური დაცვის მიზანია, საზოგადოების ყველა წევრი მთელი ცხოვრების განმავლობაში უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოების საბაზისო დონით, რაც დაიცავს მათ გაღარიბებისგან, აგრეთვე არაერთი რისკისგან, მათ საარსებო წყაროს და კეთილდღეობას რომ ემუქრება. უნივერსალური სოციალური დაცვის იდეა ესადაგება ე.წ. მდგრადი განვითარების ამოცანებსაც, რომელთა ბევრი ინდიკატორი სწორედ სოციალური კეთილდღეობის საზომია.

დღეისთვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში სოციალური დაცვა დაახლოებით მოსახლეობის 36,8%-ს მოიცავს.

კოვიდ-19-ის გამოცდილებამაც გვჩვენა – რაც უფრო უნივერსალურია ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემა, მით უფრო ხარჯეფექტიანად და ნაკლები ადმინისტრაციული დანახარჯით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის საჭირო სოციალური მხარდაჭერა კრიზისების პერიოდში“.<sup>2</sup>

რაც შეეხება უშუალოდ საცხოვრისის უფლებას, იგი აღიარებულია კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით. როგორც „სოციალური სახელმწიფოს პრინციპის“ ქვაკუთხედი, ადამიანის ღირსების უფლების აბსოლუტიზება იმთავითვე გამორიცხავს ადამიანის ისეთ საცხოვრებელ პირობებს, სადაც არსებითად დაირღვევა მისი, როგორც ადამიანის ღირსების უფლება, ადამიანი იგრძნობს თავს დამცირებულად, არასათანადო და არათანასწორ პირობებში რეალიზებულად, ასევე საფრთხე შეექმნება მის ჯანმრთელობასა და სოციალურ ინტეგრაციას, განათლებისა და ადაპტირების, შრომის უფლებებს. სწორად არის გასააზრებელი, რომ არასათანადო ცხოვრების პირობები და საცხოვრისის უქონლობა მნიშვნელოვან კონსტიტუციურ და არა მხოლოდ დარღვევებს იწვევს.

პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით გავაშუქოთ მისი რამდენიმე მხარე; კერძოდ, ერთი მხრივ, მიმოვიხილავთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრაქტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, განვიხილავთ უსახლკარო პირთა ძირითად პრობლემებსა თუ გამოწვევებს, ვიმსჯელებთ მათი გადაჭრის გზებზე, წარმოვადგინოთ რეკომენდაციებსა და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმებს.

აღნიშნული გზამკვლევი დაეხმარება საკითხით დაინტერესებულთა ფართო სპექტრს, დააინტერესებს პოლიტიკოსებს, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, სოცმუშაკებს, მკვლევარ-ანალიტიკოსებს, აკადემიური წრეების, თვითმმართველობის გაძლიერების მოსურნეებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს და ნებისმიერ პირს, ვისთვისაც განსახილველი თემა აქტუალურია.

<sup>2</sup> ურუშაძე, ანდრია. „ჰანდეშის გაკვეთილები საქართველოს სოციალური დაცვის სისტემისთვის“. ჟურნალი „ფრონტისპირა დემოკრატია“, კოვიდ-19/ჰანდეშია. გვ. 39-40. საქართველოსა და მსოფლიოზე, ნაწილი 1, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, სექტემბერი, 2020, გვ. 39-40.



# პრობლემის ანალიზი

## დეფინიცია და აღრიცხვინობა

უსახლკარო პირის დეფინიციას ვხვდებით საქართველოს კანონში „სოციალური დახმარების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასეთად მიიჩნევა: „**მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო**“. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დეფინიცია არ არის სრულყოფილი, რადგან არ მოიცავს უსახლკაროთა და ბენეფიციართა პრობლემის კომპლექსურ ხედვას. კერძოდ, მკაფიოდ არ არის განმარტებული, არსობრივად რას გულისხმობს „უსახლკარობა“, ანუ რა მიზეზმდეგობრივი კავშირია ადამიანის მუდმივ საცხოვრებელ ადგილსა და ამ ადგილის დაკარგვას შორის. პირთა რომელი წრე ზღუდავს ამ დეფინიციას? უსახლკაროა ყველა, ვინც მუდმივი საცხოვრისი დაკარგვა სხვადასხვა მიზეზით, თუ უსახლკაროა მხოლოდ ის პირი, რომელიც, სოციალური პირობების გამო (სიღარიბე, უმუშევრობა, უქონლობა და ა.შ.) კარგავს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს? ან იქნებ სახელმწიფომ იმ პირებზეც უნდა იზრუნოს, ვინც სხვადასხვა მიზეზით (საბანკო კრედიტი, აზარტული თამაშები, ნარკომანია და ა.შ.) კარგავს საცხოვრისს? არანაკლებ მნიშვნელოვანია ყოველივე ამის შედეგი – კერძოდ, რა პირობებში მყოფი ადამიანია მუდმივი განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი?

» ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ის პირი, ვინც „ცუდ“, ჯანმრთელობისთვის საშიშ პირობებში ცხოვრობს და ამის გამო ითხოვს შემწეობას, საცხოვრისს და ა.შ.;

» ან ასეთი შეიძლება იყოს პირი, რომელიც, მაგალითად, სრულიად უქონელი, უსახლკარო ადამიანია, რომლის უსახლკარობის მიზეზმდეგობრივი კავშირის დადგენა რთულია ან შეუძლებელი;

პირობებისა და მიზეზების ჩამონათვალი თავისუფლად შეიძლება გაგრძელდეს. არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში, მუნიციპალურ ორგანოებს, რომელთა ვალდებულებაა უსახლკარო პირთა რეგისტრირება და საცხოვრისით უზრუნველყოფა, აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება, მიიღონ ესა თუ ის გადაწყვეტილება. თუმცა მისი საკონტროლო მექანიზმი კანონმდებლობით არ არის დადგენილი; კერძოდ, კანონმდებლობის დღევანდელი რეგულირებით (მათ შორის ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილებებით), მოცემულია მხოლოდ ზოგადი აღწერა იმისა, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ ის უსახლკაროდ მიიჩნიონ.

აღნიშნული კრიტერიუმები ვერ სწვდება ამ მწვავე პრობლემის ყველა ასპექტს, არ მოიცავს კომპლექსური გადაჭრის გზებს, არ იძლევა მყისიერი მოქმედების საშუალებებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ უზარმაზარ დისკრეციაზე, რომლის ფარგლებშიც პირი პრაქტიკულად სრულადაა დამოკიდებული მუნიციპალური ორგანოების გადანაცვეტილებაზე.

ამ ვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწორი თვალთახედვით შეფასდეს კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა, აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. კერძოდ, ოპტიმალურ ვარიანტად მიგვაჩნია ე.წ. კითხვარების ტექნიკის შემუშავება-დანერგვა. თუკი დისკრეციის ნაწილში კანონმდებლობა ფართო შინაარსისაა, ის ვინროა ბენეფიციართა სტატუსის განსაზღვრისას, ხშირად დადგენილია იმგვარი რეგულირება, რომელთა ანგარიშგება და შესაბამისი კვლევა სახელმწიფოს არ გააჩნია (ბავშვთა რეფერირების წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო მონესრიგება – იმავე კანონის მე-4 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ კოდექსის 172-ე მუხლი, აგრეთვე მთავრობის შესაბამისი დადგენილება პრაქტიკაში თითქმის არ ხორციელდება, სტრუქტურებს არ გააჩნიათ შინაგანანესი და ნორმები „მკვდარია“.

**დოკუმენტებში არსებული ხარვეზები თავისთავად პრობლემაა, რადგან მწირ საკანონმდებლო დეფინიციას იძლევა, არ ჩანს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე კანონიერება, მისი განჭვრეტადობა, ლეგიტიმური საზღვრები, დისკრეციის ფარგლები და ა.შ.**

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი საკანონმდებლო დეფინიციით მუნიციპალიტეტი თავს არიდებს პრობლემის კომპლექსურ მოგვარებას და მის ალტერნატივად ერთჯერად სერვისებს სახავს.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მოქალაქე პარტნიორია, რომლის ინტელექტუალურ-ფიზიკური განვითარება ქვეყნის მთავარი ინვესტიციაა. ორმხრივი პარტნიორობისთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობა. ამ თვალსაზრისით უსახლკართო პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. ეს ერთდროულად ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია საკუთარი მოქალაქეების წინაშე, ღირსეულად უპასუხოს ისეთ სოციალურ გამოწვევებს, როგორცაა ჯანდაცვა და განათლება,

საცხოვრებელი ადგილისა და ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შექმნა. ეს ნიშნავს იმასაც, რომ მოქალაქეები თავს დაცულად გრძნობენ, მათ იცავს მათთვის გასაგებ ენაზე დანერგილი კანონი და გააჩნიათ უფლების დაცვის გასაგებად რეგლამენტირებული წესი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლო თავიანთ გადანყვეტილებებსა და დისკრეციულ უფლებამოსილებას შესაბამისი ნორმატიული აქტებით დაიცავენ.

დეფინიციაში ნახსენებია „საცხოვრებელი ადგილი“, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. კანონმდებლობაში არსებობს „თავშესაფრის“ დეფინიცია, მაგრამ არ არის განმარტებული „საცხოვრებელი ადგილი“. ეს ორი ტერმინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, სხვადასხვა შინაარსსა და შედეგზეა ორიენტირებული. „თავშესაფარი“ შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი, ერთი ან რამდენიმე, თუმცა მაინც არამუდმივი. „საცხოვრებელი ადგილი“ აუცილებლად მუდმივ მრავალჯერად საცხოვრისს გულისხმობს. თუკი თავშესაფრის შემთხვევაში ბენეფიციარს სახელმწიფო გარკვეულწილად „თმენის ვალდებულების“ ფარგლებში ეპყრობა, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ არ მოითხოვს „თმენის ვალდებულებით“ მიდგომებს.

შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, კანონმდებლობაში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს „თავშესაფარი“ და „საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე, მკაფიოდ განიმარტოს ეს უკანასკნელი.

ასეთი დეფინიცია ხელს უშლის შესაბამის ორგანოებს, უსახლკარობის სტატუსი მიანიჭოს ისეთ ადამიანებს ან ოჯახებს, რომლებიც დასახლებული არიან საცხოვრისის სერვისებში, აქვთ საცხოვრებლად არასაკმარისი და არასათანადო პირობები, ან არიან გამოსახლების საფრთხის წინაშე. უსახლკაროთა ამ ჯგუფს რეალურად არ გააჩნიათ საცხოვრისი, მაგრამ კანონით დადგენილი განმარტების მიხედვით, ეს ადამიანები ვერ მიიღებენ უსახლკაროს სტატუსს, შესაბამისად, ვერც სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ თავშესაფრით და სხვა სოციალური დახმარების სერვისებით. ალბათ ამით აიხსნება ისიც, რომ 2015-2019 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტს უსახლკაროთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა 14 ათასამდე პირმა, მათგან მხოლოდ 1700 დაკმაყოფილდა და მიენიჭა უსახლკაროს სტატუსი.

**უსახლკარობის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ეროვნულ დონეზე არსებობდეს სტრატეგია, რომელიც დაადგენს უსახლკაროთა ჯგუფებს და ამ ჯგუფებში გაერთიანებულთა რაოდენობას. ამასთან, უნდა**

**გაირკვეს უსახლკარობის გამომწვევი მიზეზებიც. როგორც საერთაშორისო გამოსდილება აჩვენებს, ამის მიღწევა უსახლკარობის ტერმინის სწორად და კომპლექსურად განმარტების გარეშე შეუძლებელია.**

აღსანიშნავია, რომ უსახლკარობის ცნების დადგენა და ყველა იმ კრიტერიუმის გათვალისწინება, რომლებიც უსახლკარობის დეფინიციას უნდა ახლდეს, საკმაოდ რთული აღმოჩნდა და, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს უნივერსალური შეთანხმება. თუმცა **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დეფინიცია, რომელიც უსახლკაროდ მხოლოდ იმ პირს მიიჩნევს, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნია, მოძველებულია** – უკვე წლებია, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ასეთი დეფინიციით აღარ ხელმძღვანელობენ და უსახლკარობას უფრო ფართოდ განიხილავენ. კერძოდ, გაეროს კომიტეტი უსახლკაროდ მოიაზრებს არა მხოლოდ მათ, ვისაც არ აქვს ჭერი, ანუ ფიზიკური სივრცე საცხოვრებლად, არამედ მათაც, ვინც ღამის გასათევ ადგილს ხშირად იცვლის ან თავშესაფრებში უკვე დიდი ხანია ცხოვრობს.

ქართულ კანონმდებლობაში უსახლკარობის განმარტების ნაკლოვანებები კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც მას უსახლკარობის ევროპული ტიპოლოგიის დეფინიციას (ETHOS) ვადარებთ. თუ საქართველოში უსახლკაროდ მხოლოდ მუდმივი საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი მოქალაქე ითვლება, ევროპული სტანდარტით ასეთად მოსახლეობის უფრო ფართო სპექტრი მოიაზრება, რომელიც, თავის მხრივ, ოთხ კატეგორიად იყოფა:

- 1. ჭერის გარეშე მცხოვრები პირები;**
- 2. სახლის არმქონე პირები;**
- 3. საფრთხის შემცველ გარემოში მცხოვრები პირები;**
- 4. არასათანადო პირობებში მცხოვრები პირები.**

მსგავსი კატეგორიზაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ უსახლკარობის პრობლემის აღმოფხვრა, არამედ მისი პრევენციაც. ამის მაგალითად გამოდგება ევროპის არაერთი ქვეყანა – გერმანია, ლუქსემბურგი, ავსტრია, ნორვეგია, სადაც უსახლკაროთა ჯგუფის პარალელურად გამოყოფენ პირებს, რომლებსაც გამოსახლების საფრთხე ემუქრებათ, ასევე ჯგუფებს, რომლებიც არასათანადო პირობებში ცხოვრობენ.

ცხადია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ETHOS-ს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით ცვლიან და კანონმდებლობას არგებენ.

## **ვფიქრობთ, საქართველოში უსახლკარობის დეფინიცია სწორედ ETHOS-ს უნდა ეფუძნებოდეს – ეს არის მინიმალური სტანდარტი, რომელსაც უსახლკარობის ცნება უნდა აკმაყოფილებდეს.**

არანაკლებ მნიშვნელოვანია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, კანონის ძირითადი პრინციპია „სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის, მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების, აღიარება“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკაში საჭიროების შეფასება ხდება ზედაპირულად, ერთჯერადი დაკმაყოფილების პერსპექტივით, გარდა ამისა, სერვისები, რომლებითაც სახელმწიფო ერთჯერადად უზრუნველყოფს ბენეფიციარს, არ არის საკმარისი და არსებითად ხელს არ უწყობს პირის სოციალური პრობლემის ძირეულ მოგვარებას. ასეთი მიდგომით, სახელმწიფო პრაქტიკულად ბედის ანაბარა ტოვებს თავის მოქალაქეებს, მათთვის ერთჯერად, არასაკმარის შემწეობას გასცემს და, იმავდროულად, თავს იზღვევს საკანონმდებლო ჩარჩო-რეგულაციით, სადაც წერია: „მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების აღიარება“.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციის მიზანი არ არის ადამიანის, როგორც სოციალური არსების და სახელმწიფოს, როგორც პოზიტიური ვალდებულებით დატვირთული სუბიექტის რეალიზება. ასეთი კანონმდებლობა მეტისმეტად ზედაპირულია. რაც მთავარია, ის ეწინააღმდეგება მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, სადაც წერია: „გ) სოციალური მომსახურების ალტერნატიული სახეების განვითარების ხელშეწყობა“. ამით იქმნება ჩაკეტილი წრე და სახელმწიფო ტექნიკურად იხსნის ვალდებულებას, კომპლექსურად მოაგვაროს უსახლკარო პირთა პრობლემა. ალტერნატიული სოციალური მომსახურება გაგებული უნდა იყოს, როგორც უფრო დახვეწილი, მრავალმხრივი და ფართო კომპლექსური სერვისების ერთობლიობა, რომელიც მეტ საკანონმდებლო გარანტიებს მისცემდა ბენეფიციარებს და მეტად ანგარიშვალდებულს გახდიდა მათ წინაშე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.

ამასთან, ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული მიზეზები, რომელთა გამო მოქალაქეები უსახლკაროდ დარჩნენ. მიზეზები განსხვავებული და მრავალფეროვანია და თუ მათ სიღრმისეულ მოკვლევას შევეცდებით, გადაჭრის გზებიც გაფართოვდება.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვხვდებით უსახლკარობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა მიუსაფრობა (ქუჩაში ცხოვრება), საცხოვრისი

მუნიციპალურ სერვისებში ცხოვრება, თვითდახმარების მიზნით სხვადასხვა არაკონვენციურ შენობაში ან სახელმწიფო მიწაზე უნებართვოდ ცხოვრება. ასევე გადამწყვეტია სტრუქტურული მიზეზების დადგენა, რამაც გამოიწვია საცხოვრისის დაკარგვა. ასეთებია: მტაცებლური ფულად-საკრედიტო სისტემა, ჯანდაცვის სერვისებზე მიუწვდომლობა, უმუშევრობა, დაუცველი შრომის ბაზარი, შრომითი მიგრაცია, სოციალური დაცვის სისტემის გაუმართაობა, ოჯახში ძალადობა და სხვ.

ბენეფიციართა შესაბამისი სერვისებით დაკმაყოფილებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი მიზეზების კვლევა, რათა შესაბამის სტრუქტურებს ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა, რა სერვისებით უნდა დააკმაყოფილონ ბენეფიციარები, რა დრო და თანხა დასჭირდება ბენეფიციართა მდგომარეობის იმ დონემდე გაჯანსაღებას, როდესაც ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ არსებობას, ყოველგვარი სახელმწიფო შემწეობის, თავშესაფრისა თუ სხვა ალტერნატიული დახმარების გარეშე.

## **პრობლემის აღმოფხვრის მოკლევადიანი პირდაპირი და უსახლკარო პირთა რეინტეგრაციის პრობლემა**

თბილისის მერიის 2020 წლის სოციალური პროგრამების ჩამონათვალში უსახლკართა პრობლემებს მხოლოდ ორი ქვეპროგრამა აქვს დათმობილი.

**1** ერთ-ერთი ქვეპროგრამა თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მიუსაფარ პირთა საცხოვრებლით, პირველადი სამედიცინო დახმარებითა და სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფას გულისხმობს. ასეთი პირი თავშესაფარში თვითდინებით ხვდება ან პოლიციას მიჰყავს. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და შემოწმების შემდეგ, თუ მოქალაქე აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, გახდება თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ბენეფიციარი.

**2** ქვეპროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის მიუსაფარ პირთა რეგისტრაციას, ხოლო შემდგომ უკვე თავშესაფრით უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნულ პირს/ოჯახს, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიენიჭება უსახლკაროს სტატუსი, მდგომარეობა შეფასდება ქულებით და განისაზღვრება თავშესაფრის მინიჭების რიგითობა.

საგულისხმოა, რომ არსებული სერვისები (ლილოს თავშესაფარი, ბინის ქირის პროგრამა, სოციალური საცხოვრისები) დროებითია და ამ მომსახურებაში

არ შეინიშნება გაძლიერების მექანიზმები. კერძოდ, ამგვარი სოციალური პროგრამები არ ითვალისწინებს მიუსაფარ პირთა მომძღავრებას, საზოგადოებაში მათ რეინტეგრაციასა და რეალიზაციას. ლილოს თავშესაფარში ცხოვრების უფლება კანონმდებლობით არის განსაზღვრული და მოიცავს 18 თვეს. ბინის ქირით (300 ლარის ოდენობით) უზრუნველყოფის სერვისს გამგებები ერთი ან მაქსიმუმ ორი წლის ვადით გასცემენ. რაც შეეხება თბილისის სხვა სოციალურ საცხოვრისებს, მაგალითად, ორხევის დასახლებაში არსებულს, აქ მცხოვრებ მიუსაფარ პირთაგან არავის დაუტოვებია თავშესაფარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ მოხერხდა მათი ისე გაძლიერება, რომ დაეტოვებინათ დასახლება და საკუთარი თავის უზრუნველყოფა შესძლებოდათ. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ამგვარ დასახლებებში ცხოვრებისთვის შეუსაბამო პირობებია, რაც გულისხმობს არაჰიგიენურ და დაუცველ გარემოს.

თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 30%, ანუ 335 მილიონი ლარი, სოციალურ დახმარებაზე იხარჯება. უსახლკაროთა პრობლემების სამართავად 335 მილიონი ლარიდან პირდაპირ მხოლოდ ე.წ. საერთო საცხოვრისები (ორხევის დასახლება) და ბინის ქირა ფინანსდება. არსებული პროგრამების ჩამონათვალი არ იძლევა პრობლემის გრძელვადიან პერსპექტივაში განხილვისა და მისი აღმოფხვრის საშუალებას, ნაკლებად შეიცავს პრევენციისა და გაძლიერების მექანიზმებს, ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელშესახებ შედეგს გამოიღებს.

## მიუსაფარ პირთა ინფორმირება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით ნათლადაა განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულება, მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ. პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ სახლ-კარი ან რომლებიც იმყოფებიან არასათანადო საცხოვრებელში, უფლებამოსილი არიან, მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გონივრულ ვადაში მიიღონ სწორი ინფორმაცია. ხშირად ეს ვადები ირღვევა, რაც საეჭვოს ხდის პრობლემისადმი გულისხმიერ მიდგომას.

რთული გასახსენებელია, ბოლოს როდის იმსჯელეს უსახლკარო პირთა ან თავშესაფარში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესებაზე. საზოგადოებისთვისაც გაუგებარია, რა კეთდება ამ მხრივ. სამწუხაროდ, პრობლემით არ ინტერესდებიან მედიასაშუალებები, რომელთა მეშვეობით უფრო მარტივად მივანოვდებით ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს. მაგალითად, ლილოს კაპიტალურ თავშესაფარში მოსახვედრად, რომელიც 2015 წლის დეკემ-

ბრიდან ფუნქციონირებს, უსახლკარო მოქალაქე უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს: უნდა შეეძლოს თავის მოვლა, არ უნდა ჰქონდეს გადამდები დაავადება, უნდა იყოს თბილისში რეგისტრირებული. საინტერესოა ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებული ფაქტები და ზოგადად ისიც, თუ როგორ მიეწოდებათ უსახლკარო პირებს ინფორმაცია რეგისტრაციის უფლების შესახებ. გასაგებია, რომ თავშესაფარში გარკვეული რაოდენობის პირები ხვდებიან; სხვადასხვა მიზეზის გამო ადგილების გამოთავისუფლებაც გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, ვისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საცხოვრებლის მიღება, ასეთ მოქალაქეებს რა გზით აგებინებენ მუნიციპალიტეტის ორგანოები?

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფორმირებულობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და აუცილებელია სპეციალური, ეფექტიანი და ეფექტური კამპანიების დაგეგმვა.

## სოციალური დახმარების სააგენტოს ქმედითობა

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური – სააგენტო ვალდებულია, აწარმოოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიანი რეესტრი. უცნობია, როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი. და თუ ასეთი რეესტრის შედგენაზე მუშაობენ, ხდება თუ არა უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და ერთი ნიშნით უსახლკაროთა დაჯგუფება. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს დაეხმარებოდა: პრიორიტეტების განსაზღვრაში; გაამართივებდა პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას; გაირკვეოდა, ვის სჭირდება დროებითი, ხოლო ვის მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფა; დაიზოგებოდა ფინანსური რესურსი, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ეფექტიანად განაწილებოდა, უფრო მეტ ადამიანს ექნებოდა საკუთარი ქერი და შეექმნებოდა ღირსეული პირობები.

არც ჯანდაცვის სამინისტროს და არც სააგენტოს ვებგვერდზე არ მოიპოვება ინფორმაცია უსახლკაროთა რაოდენობისა თუ მათი კატეგორიებად დაყოფის შესახებ, არ გვაქვს შესაძლებლობა, გავეცნოთ ელემენტარულ სტატისტიკას. ყოველივე ამის გამო იქმნება ბარიერები და ვერ ხერხდება საჭიროებების იდენტიფიცირება.



თბილისის მერიის ვებგვერდზე, სადაც წლების მიხედვით განთავსებულია სოციალური დაცვის პროგრამები და ქვეპროგრამები, 2021 წლის მონაცემებით, ისევე როგორც გასულ წლებში, თბილისის მერიამ დედაქალაქში რეგისტრირებულ უსახლკარო პირებსა და ოჯახებს პროგრამის სახით მხოლოდ სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა შესთავაზა, ხოლო ქვეპროგრამის სახით – თავშესაფრით უზრუნველყოფა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს პროგრამა მხოლოდ თეორიულადაა განერილი, აღსრულების მექანიზმი აბსოლუტურად ბუნდოვანია.

კითხვა:

**„როგორ უნდა ჩაერთოს პირი ქვეპროგრამაში?“**

– პასუხად ვკითხულობთ:

**„მოქალაქე თავშესაფარში თვითდინებით ან საპატრულო პოლიციის მიყვანის შედეგად ხვდება.“**

შემდეგ აღნიშნული პირი თავშესაფრის თანამშრომლებთან გაივლის შემოწმებას და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდება ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ ბენეფიციარი. მის.: თბილისი, დიდი ლილო“.

სამწუხაროა, რომ ყველა რგოლის მხრიდან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოქალაქეთა საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ვანყდებით ზედაპირულ მიდგომას.

## **საგანმანათლებლო პროგრამების აუცილებლობა**

აღარავინ დავობს, რომ თბილისში უსახლკარობის პრობლემა უმწვავესია. მისი მოგვარების კომპლექსურობაზეც ბევრი რამ თქმულა და დანერგა, მაგრამ კითხვა ალბათ ასეთნაირად უნდა დავსვათ: **რა გაკეთდა?**

**მოცემული გზამკვლევის მიზანი პრობლემის ახლებურად წარმოჩენა, განვლილის გადაფასება და პოტენციური სამოქმედო გეგმის ადვოკატირებაა. სწორედ ამიტომ, საბაზისო აუცილებლობებთან ერთად, გზამკვლევის ავტორები კრიტიკულ რესურსად მივიჩნევთ განათლებას და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რაც, პრაქტიკულად, პრობლემის კომპლექსური მოგვარების გარანტიაა.**

გვჯერა, რომ სოციალური უფლებების დაცვის ფუნდამენტს – განათლების საყოველთაობას განაპირობებს არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე მისი მონესრიგება, არამედ ცხოვრებაში დანერგვა. **ჩვენი მთავარი გზავნილი, რეკომენდაცია და თხოვნა ასეთია: თბილისის მერიამ აქტიურად ითანამშრომლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აგრეთვე ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თუ დარგის ექსპერტებთან, კერძო საგანმანათლებლო სტრუქტურებთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან იმისთვის, რომ თბილისის მასშტაბით რაც შეიძლება მოკლე დროში შემუშავდეს უსახლკარო პირთა განათლებისა და დაცვის, მათი სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის საყოველთაო-საგანმანათლებლო გეგმა.** ჩვენ გარდაუვალად ვდგავართ იმ რეფორმების აუცილებლობის წინაშე, რომელთა გარეშე რეგიონში სოციალურად მოწყვლად პირთათვის არსებობა სულ უფრო გაუსაძლისი გახდება.

სოციალურ-ფსიქოლოგიური მოწყვლადობა ამ ადამიანებში ბადებს ფრუსტრაციასა და არასტაბილურობის შეგრძნებას, აჩენს არასრულფასოვნების კომპლექსს, ნერგავს ნიჰილიზმსა და შიშს, რაც საბოლოოდ მათ უქმნის განცდას, რომ ისინი ვერ შეძლებენ დამოუკიდებლად არსებობას. წლებია, პრაქტიკულად არ იცვლება სახელმწიფო მიდგომა სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებით. არადა, დემოკრატიზაციის პროცესში ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, ბედნიერების ინდექსის გასაუმჯობესებლად. სწორედ ამიტომ, მოცემული გზამკვლევის ფარგლებში, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს: ქვეყანაში, რეგიონში აუცილებელი და გადაუდებელია ადეკვატური, ჯანსაღი საგანმანათლებლო და სოციალური პოლიტიკის გატარება, რათა თბილისის თითოეული მოქალაქე ცხოვრობდეს ღირსეულ, სიცოცხლისთვის ადეკვატურ, ნორმალურ და სტაბილურ გარემოში. ასეთ პირობებში, სხვა დანარჩენი ინდივიდების გვერდით, ის შეძლებს დამოუკიდებელ, სრულფასოვან, კონკურენტულ, რეინტეგრაციულ, თავისუფალ, თანასწორ არსებობას.

**ადამიანს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ იგი ღირსეული, დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი ინდივიდია და სახელმწიფო, როგორც სერვისი, უზრუნველყოფს ამ უფლებებს და უსაფრთხო გარემოში რეალიზაციას.**

# უსახლკაროთა პრობლემის მოგვარების ევროპული მიდგომა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, სახელმწიფო უამრავ გამოწვევას ეჭიდება, რათა სულ უფრო გაზარდოს და გააძლიეროს გახადოს ევროატლანტიკურ სივრცეში განევრიანების ტენდენცია. დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კვალდაკვალ და ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, 2015 წელს საქართველომ გაეროს ყველა სხვა წევრს სახელმწიფოსთან ერთად გამოთქვა სურვილი, ჩართულიყო 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში. ამ მიზნებიდან ერთ-ერთია **ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური უსაფრთხო და მდგრადი განვითარება**, რაც არსებითად მოიცავს იმ მთავარ სოციალურ პრობლემებსა თუ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ჩვენი მოქალაქეები.

გზამკვლევის დამუშავებისას ეფექტიანად მივიჩნევთ მთავარ ევროპულ თუ სხვა განვითარებულ სახელმწიფოთა სოციალური პოლიტიკით განსაზღვრულ სტრატეგიებსა თუ სამოქმედო გეგმების წარმოჩენას, რომლებიც უმეტესობამ წარმატებულად დანერგა და განახორციელა საკუთარ სახელმწიფოში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს სწრაფვა ევროპული ოჯახისკენ, უპირველეს ყოვლისა, ევროპული ფასეულობებითა და საქართველოში მათი დაცვის გზითაა შესაძლებელი.

გთავაზობთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილებას, რომელიც უსახლკარობასთან ბრძოლის მეთოდებსა და განხორციელების გზებს მოიცავს.

ევროპული მოდელის მიხედვით, სოციალურ პოლიტიკაში უპირატესობა ენიჭება **Housing First (საცხოვრისი უპირველესად)** პრინციპს. აღნიშნულის ფარგლებში, ევროპულმა სახელმწიფოებმა უარყვეს მრავალსაფეხურიანი მოდელი, რომლის მიხედვითაც, ბენეფიციარები ეტაპობრივად გადაჰყავდათ თავშესაფრიდან მუდმივ საცხოვრებელ სახლებში. მათ მიზნად დაისახეს ერთგვაროვანი კომპლექსური სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც ბენეფიციარებს, თავშესაფრის გვერდის ავლით, პირდაპირი წესით დააკმაყოფილებდა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით. აღნიშნულმა მოდელმა გაამართლა ფინეთში, მაგრამ ქართულ სინამდვილესა და ფენომენზე მსჯელობისას უნდა გავიაზროთ ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები და სწორედ ამას მოვარგოთ სამოქმედო არეალი.

დღეის მდგომარეობით, საკმაოდ რთულია ბენეფიციარების ინდივიდუალური მუდმივი საცხოვრებელი უზრუნველყოფა. ასეთი პრაქტიკა მოითხოვს საბინაო ფონდთან მჭიდრო კავშირს და წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, განსაზღვროს სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოში.

აღნიშნული გზამკვლევის ფარგლებში ჩვენთვის საინტერესოა თვითმმართველი თემის გაძლიერება და რეგიონალურ დონეზე უსახლკაროთა ელემენტარული პრობლემების გამოაშკარავება.

### კერძოდ:

» ისინი არ არიან სათანადოდ ინფორმირებული სხვადასხვა სოციალური ბენეფიტის შესახებ; თანაბრად ხელი არ მიუწვდებათ სერვისებზე;

» სახელმწიფო არ აწარმოებს რეგიონალურ სტატისტიკას და უსახლკაროთა გამოკითხვას მათი საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, არ არსებობს ერთიანი და მწყობრი ადგილობრივ-რეგიონალური პოლიტიკა, რომელიც კომპლექსურად მოაგვარებდა მათ პრობლემებს – გამოიკვლევდა უსახლკარობის მიზეზშედეგობრივ კავშირს, უზრუნველყოფდა მათ დროებითი თავშესაფრით, მისცემდა შესაბამისი პროფესიული გადამზადების შესაძლებლობას და სამუშაო ადგილებს, გააძლიერებდა მათ თვითმყოფადობას, რათა დამოუკიდებლად შეძლონ არსებობა.

გზამკვლევის ავტორთა საერთო აზრია, რომ დღესდღეობით, ქართული რეალობის გათვალისწინებით, ეტაპობრივად მოსაგვარებელია ჩამოთვლილი მწვავე პრობლემები, რათა შემდგომ უკვე სოციალური პოლიტიკის განვითარებასა და მისი მაღალი სტანდარტის ცხოვრებაში დამკვიდრებაზე ვიმსჯელოთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნათლად ვხედავდეთ, თუ რა ურთიერთკავშირი არსებობს უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და მისი მოგვარების გზებს შორის. პრობლემის ამგვარად წარმოჩენისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები და ორიენტირები.

## კერძოდ:

» გათვალისწინებული იყოს ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებები და ამ საჭიროებების მოგვარების ეფექტიანი გზები. პირობითად, პირი, რომელიც უსახლკაროა უმუშევრობისა და არასათანადო/არასაკმარისი განათლების გამო, გარდა თავშესაფრისა, სახელმწიფომ სოციალური პოლიტიკის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს შესაბამისი განათლებით, დაეხმაროს მას სამუშაო ადგილის დროულ მოძიებაში, რათა ბენეფიციარმა რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს ადაპტირება და დამოუკიდებლად ცხოვრება. ასეთი მიდგომა განტვირთავს სოციალურ საცხოვრისებს და დაეხმარება სოციალური სერვისით მოსარგებლებს, დროულად დაბინავდნენ თავშესაფრებში.

» სახელმწიფოს, ისევე როგორც პოლიტიკურ პარტიებსა და ყველა იმ სუბიექტს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, მონაწილეობდნენ სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებაში და სამომავლო პერსპექტივებსაც სახავენ, ჰქონდეთ მკაფიო და ფუნდამენტური წარმოდგენა სოციალურ პოლიტიკაზე, უმწვავეს გამოწვევებსა და მათი მოგვარება-გადაჭრის გზებზე. გარდა ამისა, უნდა გააჩნდეთ სამოქმედო გეგმა, რომელშიც ზედმიწევნით არის განსაზღვრული ვადები და დასახარჯი ფინანსური რესურსის ოდენობა. გეგმის მიმდინარეობის შუალედური შედეგები უნდა ეცნობოს საზოგადოებას, ხოლო თვით პროცესი და მისი მონიტორინგი იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ჩამოთვლილი საკითხების მინიმალური მოგვარება, ევროპული სტანდარტით, უსახლკაროთა პრობლემისა და მათი მოგვარების გზების კომპლექსურ ხედვას წარმოადგენს.

ევროპის სახელმწიფოების მიდგომა სოციალურ საკითხთან მიმართებით ძირითადად ერთი პრინციპის ორგვარ გაგებას ეფუძნება, კერძოდ, First Housing-ის პრინციპი ზოგიერთ ქვეყანას ცენტრალურ, სახელმწიფო დონეზე აქვს განმტკიცებული. ასეთი ქვეყნებია: კანადა, ჩეხეთი, ირლანდია, ფინეთი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია. ასეთსავე პრაქტიკას ამკვიდრებენ ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ახალი ზელანდია და სხვ. First Housing-ის პრინციპის კიდევ ერთი გაგება გულისხმობს არა ცენტრალურ, სახელმწიფო ხელისუფლების დონეს, არამედ რეგიონალურ საცხოვრისის პოლიტიკას. ამ მიდგომას იზიარებენ ისეთი ევროპული სახელმწიფოები, როგორცაა: ავსტრია, გერმანია, ისლანდია, ნიდერლანდი, პოლონეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი. მსგავსი პროექტის განხორციელება იგეგმება ისრაელში.

# დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები

» უსახლკარო პირთა დეფინიციის კომპლექსური განსაზღვრება და მისი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან დაახლოებული განჭვრეტადობა.

» აღნიშნული გულისხმობს უსახლკარობის დეფინიციის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებასა და უსახლკარობის უფრო კომპლექსურ გაგებას („თავშესაფრისა“ და „საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიციების საკანონმდებლო დონეზე გამიჯვნას), კერძოდ, მიუსაფარ პირთა საჭიროებისამებრ კატეგორიებად განაწილებას.

**საკანონმდებლო წინადადება – ქალაქ თბილისის მერიამ პარლამენტს წარუდგინოს „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. აღნიშნული წინადადების მომზადებისას გადაიხედოს არა მხოლოდ უშუალოდ გზამკვლევაში მითითებული მუხლები ან დეფინიციები, არამედ ქვეყნის მთლიანი სოციალური პოლიტიკა. გარდა ამისა, მაქსიმალურად გასაზიარებელია დასავლური საუკეთესო ტრადიცია და პრაქტიკა.**

» უსახლკარო პირთა მუდმივი სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

» პირველ ეტაპზე დადგინდეს და დაკმაყოფილდეს ასეთი კატეგორიის მოქალაქეთა ელემენტარული საჭიროებები, მოხერხდეს თავშესაფრითა და სასიცოცხლო პირობებით უზრუნველყოფა.

» მეორე ეტაპზე აუცილებელია როგორც საბინაო ფონდის შექმნა, ისე ეტაპობრივი პრივატიზება და კერძო ქონებით უზრუნველყოფა.

» აღნიშნული მოიცავს, როგორც სახელმწიფო სერვისების გააქტიურებას ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის აქტიურ თანამშრომლობას მიუსაფარ პირთათვის მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესში. საბინაო ფონდის იდეის ხორცშესხმას.

» სახელმწიფო რეგიონალური (ქალაქი თბილისი) სოციალური პოლიტიკის შემუშავება კონკრეტული დროის, მატერიალურ-ფულადი და არამატერიალური რესურსების გამოყენების, შუალედური შედეგების შეჯამება-პრეზენტაციის თარიღების მითითებით; მისი გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება ხალხისა და ცენტრალური ხელისუფლების წინაშე.

» მუდმივად განახლებადი აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა.

» აღნიშნული გულისხმობს: რეგიონალურად, კერძოდ, თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ კოორდინაცია გაუწიოს უსახლკარო პირთა აღწერას, მათი ინდივიდუალური მონაცემების, საჭიროებების დასადგენად ერთიანი რეესტრის წარმოებასა და მის მუდმივ განახლებას.

» არსებულ თავშესაფრებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

» აღნიშნული გულისხმობს: თბილისის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ გამოყენებას, უწინარესად, ბენეფიციართა პირველადი საჭიროებების გათვალისწინებასა და ამ საჭიროებებით მათ უზრუნველყოფას. არსებულ თავშესაფრებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამედიცინო, ჰიგიენური, საკვები და გადაუდებელი სერვისის დროული მიწოდება, იურიდიული თუ სხვა ნებისმიერი პირველადი სერვისების გეგმური უზრუნველყოფა.

» უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი პრევენცია, რაც ერთობლიობაში პრაქტიკულად ყველა რეკომენდაციას მოიცავს.

» ძირითადი მიზანია ბენეფიციართა პრობლემების დროული იდენტიფიცირება (რატომ დაკარგა საცხოვრებელი, ჰქონდა თუ არა ის, დასაქმებულია თუ არა, აქვს თუ არა შესაბამისი საშუალო ან პროფესიული, უმაღლესი განათლება, როგორია ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხომ არ არის ფსიქოტროპულ, ალკოჰოლურ ან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული, ხომ არ არის ძალადობის, ოჯახში ძალადობის ან სხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მსხვერპლი და ა.შ.), აგრეთვე, პირველ ეტაპზე მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ხოლო შემდეგ ეტაპზე ინდივიდუალური ინსტრუქციის შემუშავება, რომელიც პირს დაეხმარება პრობლემის/პრობლემების დაძლევისა და საზოგადოებრივ ინტეგრაციაში.

» უსახლკარო პირთა განათლების უფლების რეალიზაცია, ინდივიდუალური პროფესიული განვითარება და სოციალური ინტეგრაცია.

» რეკომენდაციის მიზანია, შესაბამისმა სტრუქტურებმა შეიმუშაონ საგანმანათლებლო სპეციალური აქტივობები და ამ პროცესში ჩართონ პროფესიონალები, დარგის ექსპერტები, მოხალისეები, პედაგოგები, ქოურები, ბიზნესფეროს წარმომადგენლები, პატივსაცემი პირები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, გააერთიანონ საზოგადოების ყველა ფენა მოხალისეობრივ-საგანმანათლებლო საქმიანობის გარშემო.

» აუცილებელია ბენეფიციართა გადამზადება, პროფესიული თუ საშუალო, სკოლამდელი განათლებით უზრუნველყოფა. რაც მთავარია, თბილისის მერია და საკრებულო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ბენეფიციართა გადამზადება-დასაქმების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. მათ უნდა მოიძიონ პარტნიორი კომპანიები და ბიზნესი „ნებაყოფლობითი იძულების“ წესით ჩართონ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაში.

» მნიშვნელოვანია ქველმოქმედებისა და მოხალისეობის, აგრეთვე, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და აქტივობების ადვოკატირება, ნახალისება (ბანაკები, საგანმანათლებლო ცენტრები და ა.შ.).

» უსახლკარო პირთა ინფორმირებულობა მათთვის ხელმისაწვდომი სოციალური პროგრამების შესახებ.

» უსახლკაროთათვის სპეციალური ცხელი ხაზის ამოქმედება, რათა დაინტერესებულმა პირმა მიიღოს დეტალური ინსტრუქციები შესაძლო სერვისისა თუ დახმარების შესახებ. ასევე ბანერების თუ სხვა საინფორმაციო-ვიზუალური ბეჭდური პროდუქციის განთავსება მთელ ქალაქში, მათ შორის სავაჭრო ობიექტებსა და სკვერებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რელიგიური შეკრების ადგილებთან, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ადგილებში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასწრაფო გადაუდებელ სამედიცინო პუნქტებში.

» განსაკუთრებული გეგმური მონიტორინგი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. **თუკი პირი უარს აცხადებს თავშესაფარში გადასვლაზე, მისთვის ერთჯერადად პირველადი მოხმარების ნივთებისა და საკვების გადაცემა.**

» ქალაქ თბილისის მერიის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, დედაქალაქის ფინანსური დოკუმენტის გაგზავნა ყველა შესაბამის უწყებაში სოციალური საჭიროებებისთვის გათვალისწინებული თანხებისა და წლიური სამოქმედო გეგმა-ღონისძიებების გასაცნობად. წლის განმავლობაში თანხის ხარჯვის მონიტორინგი, დარღვევების/გადაცდომების გამოვლენა, ანგარიშისა და შუალედური შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა.



# მონიტორინგის ინსტრუქციები

1

აღრიცხვიანობის სისტემის გამართულობა და კლებადი სტატისტიკა;

2

პასუხისმგებელი უწყებების მართვის ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობა;

3

არსებულ სოციალურ საცხოვრისებში პირობების მონიტორინგი;

4

შესაბამისი კვლევების მიხედვით, უსახლკაროების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და მათი პრევენციის მასშტაბი;

5

იმ მიუსაფარ პირთა რიცხვის ზრდა, რომლებმაც დატოვეს თავშესაფარი და რომლებიც დაუბრუნდნენ საზოგადოებას. ამით პასუხისმგებელი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა უსახლკარო პირთა გაძლიერების მექანიზმების შესამუშავებლად;

6

უსახლკარო პირთა ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა (უკუკავშირი);

7

შედეგები, მიღწეული კონკრეტული პრობლემის აღმოსაფხვრელად;

8

პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის შეფასება.

# დასკვნის მაგიერ

თბილისში უსახლკარობის პრობლემის კვლევის სურვილი ქვეყანაში არსებული არაერთგვაროვანი სოციალური პოლიტიკის ფონზე გაგვიჩნდა. ამ მწვავე პრობლემის კომპლექსურად გადაჭრა აუცილებლობით არის ნაკარნახები და ამიტომაც სოციალური პოლიტიკის დღის წესრიგში პრიორიტეტული საკითხია. ამ გამოწვევის დაძლევის გზაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებისა და მოსახლეობის კოორდინირებული თანამშრომლობა. ინკლუზიური, ანგარიშვალდებული პროცესი დასავლურ სტანდარტებთან მზარდი ინტეგრაციისა და რეგიონში უკეთესი სოციალური პოლიტიკის წარმართვის საწინდარია. გზამკვლევი არის კარგი შესაძლებლობა, ახლებურად შეფასდეს პრობლემა და დაისახოს მისი მოგვარების კომპლექსური გზა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მზადყოფნა – აქტიურად ვითანამშრომლოთ შესაბამის უწყებებთან თუ ამ პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ პირებთან, იქნება ორმხრივი და ნაყოფიერი .

ვაცნობიერებთ რა პრობლემის სიღრმეს, მისი მოგვარებისთვის აუცილებელი ყველანაირი რესურსის (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, არამატერიალური და სხვ.) მობილიზაციისა და რეალიზაციის, პროცესის მართვისა და მონიტორინგის სირთულეებს, გვჯერა, რომ დიალოგი და ურთიერთთანამშრომლობა უალტერნატივოა. ამასთან, ფასდაუდებელი იარაღიცაა პრობლემასთან საბრძოლველად და მის გარშემო გასაერთიანებლად.

პროექტის „რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის“ მონაწილეებმა აღნიშნული საკითხების ეფექტიანი ადვოკატირებისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომელიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა რელევანტური უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებს დიალოგის ფორმატში, პრეზენტაციებს, თემატურ დისკუსიებსა და სხვა აქტივობებს დოკუმენტში წამოჭრილი საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად და საზოგადოებაში პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.



**EECMD**

EASTERN EUROPEAN CENTRE  
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

**აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი  
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის**

შარაშიძის 7, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 291 56 50/51

ელ. ფოსტა: [contact@eecmd.org](mailto:contact@eecmd.org)

